

მოდერნულობის ისტორია და თეორია

კარლო გინძბურბი  
ნაკვალევები, მითები,  
მიკროისტორია

ესსეები ევროპის ისტორიისა  
და კულტურის შესახებ



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი — 2011 წელი

მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის სერია  
„მოდერნულობის ისტორია და თეორია“

სერიის რედაქტორი: გიგა ზედანია



სერია იბეჭდება  
კავკასიის შვეიცარული აკადემიური  
ქსელის მხარდაჭერით

ტომი 3: კარლო გინძბურგი. ნაკვალევები, მითები,  
მიკროისტორია. ესსეები ევროპის ისტორიისა და  
კულტურის შესახებ

რედაქტორები: ზაალ ანდრონიკაშვილი,  
გიორგი მაისურაძე

ISSN 1987-9407

UDC(უაკ) 7.035.93

მ-804

ISBN 978-9941-18-056-9

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS  
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

## შინაარსი

წინასიტყვაობა .....	5
ნაკვალევაები.	
სამხილთა პარადიგმის ფესვები .....	23
(იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ)	
სახელი და მეთოდი. ანთონაბარი გაცვლა და ისტორიოგრაფიის ბაზარი .....	81
(იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ)	
ინკვიზიტორი როგორც ანთროპოლოგი .....	93
(იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ)	
მიკროისტორია: ერთი-ორი რამ, რაც მასზე ვიცო ..... 107	
(იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ)	
განედები, მონები და გიგანა .....	143
(ინგლისურიდან თარგმნა ზაალ ანდრონიკაშვილმა)	
მაღალი და დაბალი. აკრძალული ცოდნის თემა XVI და XVII საუკუნეებში .....	170
(იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ)	
რეპრეზენტაცია: სიტყვა, იდეა, სიბანი .....	190
(იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ)	
<b>ECCE</b>	
ქრისტიანული კულტის გამოსახულების გიგლიური წარმოშობის შესახებ .....	213
(იტალიურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ)	
„შენ სჭირდები შენს ძვეყანას“ – პოლიტიკური იკონოგრაფიის კვლევის მაგალითი .....	237
(ინგლისურიდან თარგმნეს ზაალ ანდრონიკაშვილმა და ეკა მესხმა)	

ოჯახური მსგავსებები და გენეალოგიური ხეები .....	263
(იტალიურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ)	
<b>UNUS TESTIS</b>	
ეპრაელთა ჟღებთა და რეალურობის პრინციპი .....	286
(იტალიურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ)	
კვლავ არისტოტელესა და ისტორიის შესახებ.....	313
(იტალიურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ)	
მითოსი .....	333
(იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ)	
მტრის რეპრეზენტაცია.....	388
(იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ)	
შიში, მოწინააღმდეგეობა, ტერორი. დღევანდელი გადსასახედიდან	
ნაკითხული ჰობსი .....	412
(ინგლისურიდან თარგმნა ზაალ ანდრონიკაშვილმა)	

## წინასიტყვაობა

### ზაალ ანდრონიკაშვილი / გიორგი მაისურაძე

სულ უფრო იშვიათად ხდება, რომ ჰუმანიტარი სიცოცხლეშივე აბიჯებდეს ზღვარს, რომელიც გინდა აკადემიურ, გინდა არააკადემიურ პოპულარულობას ლეგენდარულობად აქცევს. კიდევ უფრო იშვიათია, რომ მთელ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი ინარჩუნებდეს თავმდაბლობას, ირონიულ დისტანციას საკუთარი თავისა და შემოქმედების მიმართ და არ ცნობდეს იერარქიებს. ასეთია კარლო გინძბურგი.

15 სტატია, რომელსაც ამ კრებულში წარმოგიდგენთ, ავტორის მიერაა შერჩეული და მისი კვლევის არაჩვეულებრივად მრავალფეროვან მიმართულებებს გაგვაცნობს. კარლო გინძბურგი აშკარად ვერ ეტევა ერთი, ისტორიული, დისციპლინის ფარგლებში: გარდა საკუთრივ ისტორიისა იგი ეყრდნობა და იყენებს ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის, ანთროპოლოგიის, ფილოსოფიისა და ფსიქოანალიზის შემეცნებით ბაზასა და ინსტრუმენტებს. გინძბურგი იკვლევს იმ წესებს, რომლებიც უხილავი მეღნიტ წერია ევროპული „საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების ქსოვილზე. ამგვარი წესები ყველა საზოგადოებაში არსებობს და გარკვეული თვალსაზრისით ისინი საზოგადოების ფუნქციონირების წინაპირობაა.“ (კვლავ არისტოტელესა და ისტორიის შესახებ, იხ. ამავე კრებულში). ამ „გამოუთქმელი წინაპირობების“ გამოვლენა, გინძბურგის აზრით, მკვლევარის ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა.<sup>1</sup> ამიტომაც ძნელია ზუსტად განსაზღვრო კარლო გინძბურგის სამეცნიერო ვინაობა: ის ერთდროულად ისტორიკოსი, ისტორიის ფილოსოფოსი, კულტურის ისტორიკოსი და თეორეტიკოსია.

კარლო გინძბურგი დაიბადა ტურინში, 1939 წელს. მამამისი, ლეონე გინძბურგი, ოდესელი ებრაელი ემიგრანტი, რუსული ლიტერატურის პროფესორი იყო (სხვათა შორის გოგოლის და ტოლსტოის მთარგმნელი), მეორე მსოფლიო ომის დროს ანტიფაშისტურ წინააღმდეგობას შეუერთდა და 1944 წელს ფაშისტურ საპრყრობილეში დაიღუპა. დედამისი, ნატალია გინძბურგი, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე

ცნობილი იტალიელი მწერალი იყო, რომელიც საქართველოშიც შესანიშნავადაა ცნობილი (დედის მამა, ჯოვანი ლევი, ცნობილი ბიოლოგი იყო – ლევი-გინძბურგების ოჯახის ისტორია ცალკე მოსაყოლია). გასაკვირი არ არის, რომ ოჯახურმა ტრადიციებმა გინძბურგზე დიდი გავლენა მოახდინა: პატარაობაში დედასავით მწერლობა უნდოდა. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თვითონ ამბობს, მალევე მიმხვდარა – მისგან კარგი მწერალი არ დადგებოდა, წერისადმი სიყვარული შეინარჩუნა. სამეცნიერო ნაშრომებში ის ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევს სტილს და კომპოზიციას, ამიტომ მისი კითხვა არა მარტო ინტელექტუალური, არამედ ლიტერატურული სიამოვნებაცაა. იმედს ვიტოვებთ, რომ თარგმანი ოდნავ მაინც მოახერხებს ამ შთაბეჭდილების გადმოცემას.

ამ საკითხის ერთი, გინძბურგისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი „გადმოცემის სტრატეგიაა“ – ის, თუ როგორ ალაგებს და გადმოსცემს ისტორიკოსი მოპოვებულ მასალას და ჩატარებულ ანალიზს. „ისტორიული ნარატივის“ რეაბილიტაცია (მხოლოდ არა ვინრო, „ყოვლისმცოდნე მთხრობელის“ გაგებით) ნაწილია მისი პოლიმიკისა ანალების სკოლასთან, რომელმაც „უარი თქვა თხრობაზე, უფრო ზუსტად კი ლიტერატურულ თხრობაზე, როგორც ტიპიურად ტელეოლოგიურ გამოსხატულებაზე „მოვლენათა ისტორიისა“ (მიკროისტორია. ერთი ან ორი რამ, რაც მასზე ვიცი – იხ. წინამდებარე კრებულში). ამავე სტატიიაში კარლო გინძბურგი წერს: „ყოვლისმცოდნე მთხრობელი ისტორიკოსის ფიგურა, რომელიც გვიმხელს რომელიმე მოვლენის უმცირეს დეტალებს, ან ადამიანთა, ჯგუფთა თუ ნოდებათა ქცევის გამომწვევ და შთამაგონებელ ფარულ მიზეზებს [...] მხოლოდ ერთ-ერთია მრავალ შესაძლებლობათა შორის, როგორც ეს მშვენივრად იციან ან უნდა იცოდნენ მარსელ პრუსტის, ვირჯინია ვულფისა და რობერტ მუზილის მკითხველებმა“. მოდერნისტული რომანი (პრუსტთან, მუზილთან, ვირჯინია ვულფთან და იტალი კალვინოსთან ერთად გინძბურგი განსაკუთრებით გამოჰყობს რაიმონ კენოს სტილის სავარჯიშოებს) გინძბურგისთვის მონაცემთა და ჰიპოტეზათა პრეზენტაციის მაგალითად იქცა. ისტორიული მასალის პრეზენტაციას ეძღვნება ესეე „ოჯახური მსგავსებები“, რომლებიც ასევე წინამდებარე კრებულში ქვეყნდება. „ლიტერატურასა და ისტორიას შორის დამოკიდებულება“ – ამბობს გინძბურგი ინტერვიუში მარია ლუჩია

პალარეს-ბერკთან – „ურთიერთგამონწვევისა და კონკურენციის დამოკიდებულებად მიმაჩნია. მაგალითად, ბალზაკისთანა რომანისტიკისათვის ისტორია გამონწვევა იყო. მისი სიტყვები: „მე ვიქნები XIX საუკუნის ისტორიკოსი“ ამ გამონწვევაზე რეაქცია იყო“. მაგრამ შემდეგი თაობის რომანისტიები, მაგალითად სტენდალი და ფლობერი, თავად გადაიქცნენ გამონწვევად ისტორიკოსებისათვის. ისტორიას და ლიტერატურას შორის დამოკიდებულება ისეთი კონკურენციაა, სადაც ისინი ერთმანეთს გამოიწვევენ, ერთმანეთს პასუხობენ და ერთმანეთისგან სწავლობენ.“<sup>2</sup>

ისტორიასა და ლიტერატურას შორის საზღვარი განსაზღვრავს გინძბურგის პოზიციას, რომელიც უპისპირდება ისტორიკოსების, ფილოსოფოსების და ლიტერატურათმცოდნეების შეხედულებას, რომელსაც ძალიან პირობითად შეგვიძლია პოსტმოდერნისტული დავარქვათ (როლან ბარტი, ჰეიდენ უაითი<sup>3</sup> და გარკვეულ წილად, მიშელ დე სარტო<sup>4</sup>). თავად გინძბურგი თავის ოპონენტთა პოზიციას ასე აყალიბებს: „ისტორიოგრაფია, ისევე, როგორც რიტორიკა, მხოლოდ და მხოლოდ დარწმუნებას ისახავს მიზნად; მისი მიზანი ეფექტურობაა და არა სიმართლე; ისევე, როგორც რომანი, ისტორიოგრაფიული ნაშრომიც დამოუკიდებელ ტექსტურალურ სამყაროს ქმნის, რომელსაც არანაირი დასაბუთებადი კავშირი არ გააჩნია ტექსტისმილმა რეალობასთან, რომელიც მის რეფერენტს წარმოადგენს; ისტორიოგრაფიული და მხატვრული ტექსტები ავტორეფერენციულია, რადგან მათ რიტორიკული განზომილება აერთიანებს“ („კვლავ არისტოტელესა და ისტორიის შესახებ, იხ. ამავე კრებულში“). გინძბურგისთვის სწორედ რეალობასთან დამოკიდებულებაა ისტორიასა და ლიტერატურას შორის ცენტრალური განსხვავება. იგი იმონმებს ფრანგი ისტორიკოსის, პიერ ვიდალ-ნაკეს სიტყვას: „დარწმუნებული ვიყავი, რომ არსებობდა გაზის კამერების დისკურსი, რომ ყველაფერი აუცილებლად უნდა იქცეს სიტყვად [*mon sentiment etait qu'il y avait un discours sur les chambres à gaz, que tout devait passer par le dire*], მაგრამ, რომ ამის იქით, ან, უფრო სწორად, ამის აქეთ, იყო რაღაც უქცევადი, რასაც, სანამ უკეთეს მოვიფიქრებდე, რეალობას ვუწოდებ. როგორ შეიძლება, ამ რეალობის გარეშე, რომანის განსხვავება ისტორიისაგან?“<sup>5</sup> აქედან კი ისტორიკოსის ეთოსი გამომდინარეობს „მიმაჩნია, რომ სიმართლის ძიება ჯერ კიდევ არის ნებისმიერი მკვლევარის, მათ შორის ისტორი-

კოსის, ძირითადი მოვალეობა.“ (კვლავ არისტოტელესა და ისტორიის შესახებ).

\* \* \*

კარლო გინძბურგმა პირველი (და ალბათ მისი საყვარელი) წიგნი 27 წლის ასაკში გამოაქვეყნა: *ბარაქიანები. გამოკვლევები კუდიანობისა და აგრარული კულტის შესახებ XVI-XVII საუკუნეებში*.<sup>6</sup> ეს წიგნი მოგვითხრობს ინკვიზიციის სასამართლოზე გასამართლებულ ფრიულიელ გლეხების ჯგუფზე, რომლებიც თავის თავს ბარაქიანებს ეძახდნენ, და ამტკიცებდნენ, რომ ექსტაზში ჩავარდნილები ებრძოდნენ კუდიანებს ყანების ნაყოფიერებისათვის. ინკვიზიტორებმა, რომლებმაც ამ კულტს ვერაფერი გაუგეს, ბარაქიანები საბოლოო ჯამში კუდიანებად მონათლეს. გინძბურგმა მოახერხა, ინკვიზიტორთა დაკითხვის ოქმებიდან გაცილებით უფრო ღრმა კულტურული ფენა – მკვდრების სამყაროსთან დაკავშირებული წინაქრისტიანული კულტი – აღედგინა. ინკვიზიტორისა და ანთროპოლოგის არატრივიალურ მსგავსებას ეძღვნება ესეე „ინკვიზიტორი როგორც ანთროპოლოგი“, რომელიც წინამდებარე კრებულში ქვეყნდება – ამ ესეეში მოკლედ არის გადმოცემული ბარაქიანთა კულტის ისტორიაც.

გინძბურგი იგივე თემას თითქმის 30 წლის შემდეგ დაუბრუნდა წიგნში *ღამეული ისტორია. კუდიანთა შაბათობის გაშიფრვა*<sup>7</sup>, რომელიც სტრუქტურისა და მოვლენების, მიკრო და მაკროისტორიის ელემენტების რთულ კომბინაციას წარმოადგენს და ის ავტორის ყველაზე,<sup>7</sup> გახმაურებული მონოგრაფიაცაა.

ავტორის განმარტებით, წიგნის მიზანი, ერთი მხრივ, იმ იდეოლოგიური მექანიზმების რეკონსტრუქცია იყო, რომლებმაც გვიანი შუა საუკუნეების ევროპაში კუდიანთა დევნა შესაძლებელი გახადა; მეორე მხრივ კი თავად კუდიანებად შერაცხული ადამიანების რწმენა-წარმოდგენების აღდგენა. ასეთ თემაზე მუშაობის სირთულეს ის ფაქტორიც განაპირობებს, რომ ერთადერთი წყარო „კუდიანთა პროცესების“ პროტოკოლებია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, „კუდიანების“ მიმართ ინკვიზიციის დამოკიდებულებას უფრო ასახავს, ვიდრე თავად წერა-კითხვის არმცოდნე ბრალდებულების მსოფლმხედველობას.

გინძბურგის გამოკვლევების ამოსავალი წერტილი XVI საუკუნის პირველი ნახევრის – როგორც დღეს ვიტყვოდით – შეთქმულების თე-



ორია იყო, რომელიც შავი ჭირის გავრცელებას ჯერ კეთროვანებს, მოგვიანებით ებრაელებს და მაჰმადიანებს, კიდევ უფრო მოგვიანებით კი „კუდიანებს“ აბრალებდა. ასეთმა ბრალდებებმა თანდათანობით სისტემატური სახე მიიღო, რომლის თანახმადაც, „კუდიანები“ ღამ-ღამობით იკრიბებოდნენ, აწყობდნენ „შაბათობებს“, ორგანიზაცია და წარმართული რიტუალების თანხლებით, თაყვანს სცემდნენ სატანას, წამლავდნენ სასმელ წყალს და ა.შ. გინძბურგი შეეცადა ამგვარი სტერეოტიპები და წარმოდგენები საერთო-ევრაზიული მითოლოგიებისა და რელიგიური წარმოდგენების კონტექსტში გაეანალიზებინა და მათი ისტორიული ტრანსფორმაციები ეჩვენებინა. უკვე ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეში იმჟამად უმცირესობაში მყოფ ქრისტიანებს უყენებდნენ ბრალდებას, რომ ისინი კანიბალები არიან და ღვთისმსახურების დროს ადამიანის ხორცს ჭამენ და სისხლს სვამენ, რაც ევქარისტიის რიტუალის დამახინჯებული გაგებიდან უნდა გაჩენილიყო. თუმცა მალე ასეთივე ბრალდებებით, ხოლოდ უკვე „წარმართების“, ებრაელებისა თუ ერეტიკოსების მიმართ უკვე თავად უკვე თავად ქრისტიანული ეკლესიის მხრიდან გაჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ „კუდიანებად“ შერაცხვა სექსობრივი ნიშნით არ შემოიფარგლებოდა, მაინც ბრალდებულთა შორის უმეტესად ქალები აღმოჩნდნენ, რასაც მნიშვნელოვანწილად არა მხოლოდ ტრადიციულმა პატრიარქალურმა სტერეოტიპებმა, არამედ, როგორც გინძბურგმა აჩვენა, საეკლესიო სწავლებებმაც ხელი შეუწყო. უკვე X საუკუნეში შედგენილ საეკლესიო პირთათვის განკუთვნილ „სახელმძღვანელოში“ (*Canon episcopi*) იყო პირდაპირი მითითება, რომ არსებობენ დემონების მიერ შეცდენილი და სატანის მიმდევარი ქალები, რომლებიც წარმართულ ქალღმერთ დიანას თაყვანს სცემენ და ღამ-ღამობით ცხოველებზე ამხედრებული დაქრიან და მის მითითებებს ასრულებენ. ამგვარი ბრალდებები ხუთი-ექვსი საუკუნის შემდეგ „კუდიანთა შაბათობების“ ძირითად სიუჟეტად იქცა და სხვადასხვა ნიშნით უმრავლესობისგან განსხვავებულ და გამარგინალურებულ ჯგუფების მიმართ მტრულ სტერეოტიპებს შეერწყა.

ღამეულ ისტორიამდე 13 წლით ადრე გამოქვეყნდა *ყველი და მატლები. XVI საუკუნის მენისქვილის სამყარო*.<sup>8</sup> ეს წიგნი, რომელმაც გინძბურგს მსოფლიო აღიარება მოუტანა, ეძღვნება XVII საუკუნის დასაწყისის ერთი ფრიულიელი მენისქვილის – მენოქიოს მსოფლმხედ-

ველობის რეკონსტრუქციას, რომელიც ინკვიზიციამ მწვალებლობის ბრალდებით სიკვდილით დაასჯევინა. მენოქიომ, რომელმაც წერა-კითხვა იცოდა, რაც იმდროინდელი გლეხობისათვის სრულიად უჩვეულო მოვლენა იყო, საკუთარი კოსმოგონიური მითი შეთხზა, რომლის თანახმადაც თავდაპირველი ქაოსიდან ყველის მსგავსი მასა წარმოიქმნა, რომლიდანაც მატლები გადმოვიდნენ და ეს მატლები იყვნენ ანგელოზები და ღმერთი... მენისქვილის ასეთ უცნაურ ფანტაზიებზე მეტად, ინკვიზიციის ყურადღება მენოქიოს მხრიდან საეკლესიო და მმართველი საერო პირების კრიტიკამაც მიიპყრო, რომლებსაც ის „საბრალო ადამიანების მჩაგვრელებს“ უწოდებდა. გინძბურგმა სცადა ამგვარი წარმოდგენების გაჩენის რეკონსტრუქცია და ამის საფუძველზე წიგნის საზოგადოების დაბალი ფენების კულტურის „მაღალ კულტურასთან“ ურთიერთმიმართების გაანალიზება. მრავალი წლის მანძილზე ისტორიულ მეცნიერებაში გაბატონებული სტერეოტიპების თანახმად, საზოგადოებების „დაბალი ფენების“ კულტურა მხოლოდ დამახინჯებულ და კურიოზებამდე დაყვანილ „მაღალ კულტურად“ იყო შეფასებული და არ მიიჩნეოდა სამეცნიერო შესწავლის ღირსად. ამგვარი დამოკიდებულების რადიკალური შემობრუნება „ანალების სკოლის“ წარმომადგენელს, ფრანგ ისტორიკოსს ლუსიენ ფევრსა<sup>9</sup> და, განსაკუთრებით, რუს ლიტერატურათმცოდნეს მიხაილ ბახტინს<sup>10</sup> უკავშირდება. ბახტინის თანახმად, შუა საუკუნეებსა და რენესანსის ხანაში უბრალო ადამიანებმა შექმნეს არაწერილობითი „კარნავალური“ კულტურა, რომელსაც ავტორი ოფიციალური, „მმართველი კლასების“ კულტურის ალტერნატივად მიიჩნევდა. კარნავალური ტიპის სანახაობები ერთადერთი ადგილი იყო, სადაც უუფლებო, „დაბალ“ საზოგადოებრივ ფენებს იერარქიული წესრიგის დარღვევისა და სოციალური თავისუფლებისა თუ საკუთარი შემოქმედების გამოხატვის უფლება ეძლეოდათ, რამაც უდიდესი ზეგავლენა თავად რენესანსის „მაღალ“ კულტურაზე იქონია. გინძბურგი საკუთარი გამოკვლევების საფუძველზე ასკვნის, რომ XVI საუკუნის შუა ხანებამდე მმართველი და ქვედა ფენებისა კულტურებს შორის ინტენსიური ორმხრივი გაცვლის პროცესი მიმდინარეობდა. შემდგომი პერიოდის ევროპაში კი, ერთი მხრივ, უფსკრული გაღრმავდა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, მეორე მხრივ კი დაბალი ფენების მასიური ინდოქტრინიზაციის პრო-